კომპლექსური დავალება მომზადდა სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ორგანიზაცია PH International სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმთან და 8 რეგიონულ პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად. პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით ხორციელდება.

დავალებებში გამოყენებულია პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში მომზადებული რესურსები:

თემატური ბლოკი:	ცენტრალური ხელისუფლება
სამიზნე ცნება:	დემოკრატია
საკითხი:	თავისუფალი მედიის მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში

კომპლექსური დავალების პირობა:

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ მოხალისე ბლოგერი, რომელიც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე წერს. ამჟამად მუშაობთ ბლოგპოსტზე, რომლის მიზანია, მკითხველს გააცნოს **თავისუფალი მედიის მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში**.

ნაშრომში თვალნათლივ წარმოადგინეთ:

- რა დანიშნულება და ფუნქციები აქვს მედიას დემოკრატიულ სახელმწიფოში (მედია როგორც მეოთხე ხელისუფლება)?
- როგორი უნდა იყოს მედია, რომ მან საკუთარი ფუნქციები პირნათლად შეასრულოს?
- რატომ არის თავისუფალი მედიის არსებობა და საზოგადოების მხრიდან მედიასთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანი?
- რა განსხვავებაა მედიის თვითრეგულირებასა და ცენზურას/შეზღუდვას შორის? ადამიანის რომელი უფლებები, ირღვევა მედიის ცენზურის შემთხვევაში?

პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის:

- დაამუშავეთ მასალები დამხმარე სახელმძღვანელოდან - „თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მედიასთან“
  „მედიის როლი სამოქალაქო საზოგადოებაში“ ⬇
  „მედიის ეთიკა და თვითრეგულირება“ ⬇
  „საზოგადოებაზე ორიენტირებული მედია“ ⬇

- დემოკრატიული საზოგადოების მახასიათებლების გასახსენებლად შეგიძლიათ გაეცნოთ სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელოს - **„როგორ გავხდე აქტიური მოქალაქე“** გვ 24-27
- ადამიანის უფლებების შესახებ ინფორმაცის გასახსენებლად, შეგიძლიათ დაამუშავოთ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი.
- კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დაწყებისთანავე გაეცანით ინფორმაციას თუ რა არის ბლოგპოსტი და ნახეთ ბლოგის ნიმუშები, მაგალითად, N1 ან N2. თუკი ბლოგპოსტის დაწერის გარდა, ბლოგის შექმნასაც გადაწყვეტთ, ამაში ეს ბმული დაეხმარებათ.

მედიის როლი სამოქალაქო საზოგადოებაში

წყარო

სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო **„თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მედიასთან“** გვ 41-56 .

მედიის მთავარი მოვალეობა საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებაა. ამ ინფორმაციაში, პირველ რიგში, სწორედ ისეთ ამბებს ვგულისხმობთ, რომელიც გვეხმარება, მეტი მონაწილეობა მივიღოთ საკუთარი ქვეყნის, ქალაქის, მუნიციპალიტეტისა და სოფლის მართვაში; ვიცოდეთ, როგორ მუშაობს ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლება; დავიცვათ საკუთარი და სხვისი უფლებები; საარჩევნო ყუთებთან გავაკეთოთ სწორი და ინფორმირებული არჩევანი, რათა ის ადამიანები ავირჩიოთ, ვინც შემდგომში ისევ ჩვენ, ანუ მოქალაქეებს მოგვემსახურება; მედიის მიერ მოწოდებული ინფორმაცია გვეხმარება ასევე, გამოვიყენოთ ჩვენი უფლება და აქტიურად ჩავერთოთ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში. ამ უფლების გამოყენება კი მოქალაქეებს მხოლოდ დემოკრატიული სახელმწიფოს პირობებში და მხოლოდ თავისუფალი მედიის დახმარებით შეუძლიათ. თავისუფალი მედია დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი საფუძველია. ხშირად სწორედ მედიის თავისუფლება განსაზღვრავს დემოკრატიის ხარისხს ამა თუ იმ ქვეყანაში. იქ, სადაც არ არსებობს დამოუკიდებელი მედია, არ არსებობს დემოკრატიული სახელმწიფო.

მედიამ უნდა მოგვაწოდოს დროული და სრული ინფორმაცია იმ მოვლენების შესახებ, რომელიც ჩვენს გარშემო ვითარდება. მისი ფუნქცია ინფორმაციის მოპოვებაა, დამუშავება, გაანალიზება და გადმოცემა ყველასათვის გასაგებ ენაზე. თუმცა მედია ბევრად უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მხოლოდ ჟურნალისტიკა და იმ მედია ტექნოლოგიებსაც გულისხმობს, რომელთა დახმარებით, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით ფართო აუდიტორიას სხვადასხვა სახის ინფორმაცია მიეწოდება. მასობრივი კომუნიკაციის ყველასათვის ნაცნობი საშუალებებია: ტელევიზია, რადიო, ჟურნალ-გაზეთები და ინტერნეტი.

მედიის სამი ძირითადი ფუნქცია შეიძლება გამოვყოთ _ ინფორმაციის გავრცელება, განათლება და გართობა. სამივე მათგანი უაღრესად მნიშვნელოვანია, თუმცა საკუთარი საზოგადოებრივი მისიის შესრულება მედიას სწორედ თავისი უპირველესი დანიშნულების _ ჟურნალისტური საქმიანობის _ კეთილსინდისიერად შესრულებით შეუძლია.

მედიას ხშირად „მეოთხე ხელისუფლებასაც“ უწოდებენ, რადგან მისი მთავარი მოვალეობა ხელისუფლების სამი შტოს (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება) მუდმივი კონტროლის გზით საზოგადოების სამსახურია. იგი შუამავალი უნდა იყოს საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის, მაგრამ ამავე დროს საზოგადოების უშუალო მოკავშირე და თანამოაზრე.

მედიის საშუალებით მოქალაქეებამდე უამრავი ინფორმაცია მიდის, თუმცა ყველა მათგანი საზოგადოების მიერ „მეოთხე ხელისუფლებისათვის“ დაკისრებულ ფუნქციას როდი ასრულებს. ძალიან მრავალფეროვანია ინფორმაცია, რომელსაც ჟურნალ-გაზეთები, ინტერნეტ გამოცემები ან ტელეკომპანიები ავრცელებენ. ზოგიერთი მათგანი ჩვენს ცნობისმოყვარეობას აკმაყოფილებს მხოლოდ, მაგრამ არსებობს ისეთი ინფორმაციაც, რომელზეც ჩვენი უსაფრთხოებაა დამოკიდებული; ზოგიერთი კი, უბრალოდ, ყოველდღიურ ცხოვრებაში გვეხმარება: მაგ. როგორი ამინდი იქნება ხვალ, როგორი მდგომარეობაა გზებზე, სად შევიძინოთ ჩვენთვის საჭირო ნივთი და სხვ.

მედიის განუყოფელი ნაწილია რეკლამაც _ როგორც კომერციული ან პოლიტიკური, ისე სოციალური რეკლამა, რომელიც სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისკენ უნდა იყოს

მიმართული. სოციალურია რეკლამა, რომელიც, მაგალითად, გვიხსნის ავტომანქანის მართვისას უსაფრთხოების ღვედის აუცილებლობას, ანდა რეკლამა, რომელიც ძალადობის ან დისკრიმინაციის წინააღმდეგ არის მიმართული.

მოცემულ ბმულზე 🔗 შეგიძლიათ ნახოთ კლიპი ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ _„გაარტყი მას“ (Slap Her), რომელიც იტალიურ გამოცემას fanpage.it ეკუთვნის. კლიპი მოგვითხრობს თუ როგორ იქცევიან ბიჭები, როდესაც მათ სთხოვენ, გაარტყან გოგოს.

მედიის ეთიკა და თვითრეგულირება

წყარო

სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო **„თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მედიასთან“** გვ 41-56 .

ნებისმიერი მედიასაშუალება არის საწარმო, რომელიც მომხმარებლისთვის მუშაობს, თუმცა ჩვეულებრივი საწარმოსგან მას მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა განასხვავებს. ეს ნიშნავს, რომ მედიის მიზანი ვერ იქნება მხოლოდ შემოსავლის, მოგების მიღება, მისი ამოცანაა, ყველა მოქალაქეს ემსახუროს კარგად.

რა სჭირდება მედიას იმისათვის, რომ კარგად ემსახუროს საზოგადოებას? რა თქმა უნდა, სჭირდება შემოსავალი და სჭირდება თავისუფლება. თუმცა ნიშნავს კი ეს თავისუფლება ყველაფრის უფლებას? რას არეგულირებს კანონი და რა რჩება კანონს მიღმა? საქართველოს კანონმდებლობა იცავს თითოეული მოქალაქის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებას, უზრუნველყოფს მედიის თავისუფალ მუშაობას და, ამავე დროს, განსაზღვრავს მისი მუშაობის პირობებს, გადასახადებს და ზოგიერთ შემთხვევაში, საზოგადოებას მავნე ზეგავლენისაგან იცავს, მაგალითად: შეზღუდვებს უწესებს მედიას ალკოჰოლის, სიგარეტის ან იარაღის რეკლამირებისას. თუმცა ის, რაც მედიის სარედაქციო მუშაობას ეხება - რა და როგორ გააშუქონ და მიაწოდონ საზოგადოებას ჟურნალისტებმა, ეს კანონს მიღმაა.

მსოფლიოს ყველა დემოკრატიული სახელმწიფო თანხმდება იმაზე, რომ მედია უნდა იყოს თავისუფალი, მაგრამ არ შეიძლება, ის იყოს აბსოლუტურად თავისუფალი, რადგან აბსოლუტური თავისუფლება საზოგადოებისთვის საზიანო საქმიანობასაც შეიძლება გულისხმობდეს, მაგალითად: მოწოდებებს მკვლელობისა და ძალადობისკენ, ადამიანების დისკრიმინაციისა და დამცირებისკენ. ამავე დროს, არ შეიძლება მედია მივანდოთ სახელმწიფოს, ანუ არ შეიძლება, ხელისუფლება აკონტროლებდეს და მართავდეს მედიას საკუთარი ინტერესების შესაბამისად. საკუთარი ინტერესებისათვის მედიას არც სხვადასხვა პოლიტიკური, ბიზნეს ან გარკვეული ჯგუფები უნდა იყენებდნენ როგორც, მაგალითად, საბჭოთა ხელისუფლება იყენებდა წლების განმავლობაში საკუთარი იდეოლოგიის გავრცელების იარაღად მას და, შესაბამისად, მედია არ იყო თავისუფალი. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები ისმენდნენ და კითხულობდნენ არა რეალურ ახალ ამბებს, არამედ მხოლოდ იმ ინფორმაციას და ისეთი ფორმით, როგორც ეს ხელისუფლებას სურდა.

მაშინ რა არის ის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც მედიას შეუძლია იყოს თავისუფალი და, ამავე დროს, საკუთარი უზარმაზარი გავლენა ხალხის საზიანოდ არ გამოიყენოს? ამ პრობლემის გადაჭრის გზად მედიის პროფესიული და ეთიკური სტანდარტები მიიჩნევა. პროფესიული და ეთიკური სტანდარტი მედიას ავალდებულებს, ჯეროვნად გადაამოწმოს ინფორმაცია, რომელსაც საზოგადოებას აწვდის; საზოგადოებას უთხრას სიმართლე და არ გაავრცელოს

სიცრუე; ერთმანეთისგან გამიჯნოს ფაქტი და მოსაზრება; დაიცვას ადამიანის უფლებები; ხელი არ შეუწყოს სხვადასხვა ნიშნით ადამი ანის დისკრიმინაციას; არ გამოიყენოს სიძულვილის ენა; არ შეიჭრას პიროვნების პირად ცხოვრებაში; უპირატესობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს; არ მიიღოს რაიმე მატერიალური ან სხვა სახის სარგებელი მის საქმიანობაზე გავლენის მოხდენის მიზნით; ერთმანეთში არ აურიოს სარედაქციო და სარეკლამო მასალები; იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი; დროულად შეასწოროს საკუთარი შეცდომა და სხვ. ეს არის წესები, რომელსაც თავად ჟურნალისტები ქმნიან და იცავენ და თავადვე აკონტროლებენ ამ სტანდარტების შესრულებას. ამაში კი მათ ისევ და ისევ საზოგადოება ეხმარება, საზოგადოება, რომელიც უყურადღებოდ არ ტოვებს მედიის შეცდომებს, მუდმივად მიუთითებს მას და ამ გზით ეხმარება ჟურნალისტებს, უკეთესები გახდნენ.

ეს პროცესი, ანუ მედიის თვითრეგულირება არ გულისხმობს რაიმე სასჯელს ან სანქციას ჟურნალისტებისთვის, არამედ გულისხმობს დაშვებული შეცდომის გასწორებას, საჭიროების შემთხვევაში, ბოდიშის მოხდას და საკუთარი პროფესიონალიზმის ამაღლებას სამომავლოდ.

ქვეყანაში არსებობს თვითრეგულირების დამოუკიდებელი ორგანო, რომელსაც ნებისმიერმა მოქალაქემ შეუძლია მიმართოს ნებისმიერი ჟურნალისტის წინააღმდეგ. ამ ორგანიზაციას „ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ ეწოდება. ქარტია ამავე დროს არის ჟურნალისტთა ეთიკური კოდექსი, რომელზე ხელმოწერაც საქართველოში მოქმედი ჟურნალისტებისთვის ნებაყოფლობითია.

თუ მოქალაქე მიიჩნევს, რომ მედიამ მას განსაკუთრებული ზიანი მიაყენა და მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება სურს, მაშინ მან სასამართლოს უნდა მიმართოს. თვითრეგულირების სისტემა, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, მსგავს ჯარიმებს არ ითვალისწინებს, თუმცა ჟურნალისტური შეცდომების გამოვლენა- აღიარების გარდა მას სხვა მნიშვნელოვანი დატვირთვაც აქვს: თუკი მედია თავად ვერ შეძლებს საკუთარი საქმიანობის რეგულირებას, ანუ თვითრეგულირებას, მაშინ უკმაყოფილო საზოგადოების მოთხოვნების შესასრულებლად, მისი რეგულირების სურვილი ხელისუფლებას გაუჩნდება. ხელისუფლების მხრიდან კი მედიის რეგულირება ნიშნავს მედიის ცენზურას, ანუ კონტროლს, რაც გამორიცხავს როგორც თავისუფალ მედიას, ისე დემოკრატიულ საზოგადოებას.

საზოგადოებაზე ორიენტირებული მედია

წყარო

სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო **„თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მედიასთან“** გვ 41-56.

მედია იმ ამბებით საზრდოობს, რომელიც ჩვენ გვეხება და ჩვენს გარშემო ხდება. ხშირად ჟურნალისტები მოქალაქეებისგან იგებენ იმ ამბებს, რომელსაც მერე სატელევიზიოდ ან საგაზეთოდ ამზადებენ. ხშირად საზოგადოება და ჟურნალისტები ერთად მუშაობენ აუცილე-ბელი ინფორმაციის მოსაპოვებლად. მოქალაქეს თავადაც შეუძლია საჯარო უწყებებიდან

გამოითხოვოს მისთვის მნიშვნელოვანი და საჭირო ინფორმაცია და თუკი საჭიროდ ჩათვლის, მიაწოდოს მედიას. მოქალაქეს ასევე შეუძლია, კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით შეატყობინოს მედიას ის ამბავი, რომელიც მას თავად აღელვებს, ან რომლის თვითმხილველიც გახდა. მაგალითად, თუ თქვენს სოფელში, ქალაქში ან, უბრალოდ, თემში მომზადდა პეტიცია, რომლითაც მოქალაქეები ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართავენ, იგივე წერილი შეგიძლიათ, გაუგზავნოთ ან მიიტანოთ ადგილობრივი მედიასაშუალების რედაქციაში და პეტიციაში გაცხადებული თხოვნის შესრულებაზე კონტროლი სთხოვოთ მათ. პროცესში ჟურნალისტების ჩართვით, თქვენ კონტროლის დამატებით მექანიზმს შეიძენთ.

თანამედროვე ეპოქაში ადამიანი ხშირად თვითონაც ხდება მოქალაქე ჟურნალისტი და ქმნის ახალ ამბავს, წერს, იღებს და ინტერნეტის მეშვეობით ავრცელებს ან უკვე მზა მასალას აწვდის მედიასაშუალებას.

ერთი სიტყვით, ჩვენ, მოქალაქეები, ჟურნალისტებისთვის ინფორმაციის წყაროც ვართ და ადრესატიც. ჩვენთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ვაწვდით მედიას, ჟურნალისტები კი საპასუხოდ გვატყობინებენ ამბავს, რას აკეთებს ხელისუფლება ჩვენი პრობლემების მოსაგვარებლად. დემოკრატიულ მმართველობას საზოგადოება სწორედ ამგვარად, მედიის დახმარებითა და ხელისუფლების კონტროლის გზით ახორციელებს.

მედიას განსაკუთრებული როლი აქვს როგორც სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლების, ისე მთლიანად ქვეყნის განვითარების საქმეშიც. სწორედ მედია ხდება ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი, როდესაც ქვეყანაში საარჩევნო პერიოდი დგება. არჩევნების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფორმაცია, რომელსაც ჟურნალისტები მოიპოვებენ და საზოგადოებას აწვდიან. მედია უზრუნველყოფს, რომ საზოგადოება კარგად იყოს ინფორმირებული ამა თუ იმ არჩევნებში მონაწილე კანდიდატების პროგრამებისა და მიზნების, ან საარჩევნო პროცესის მიმდინარეობის შესახებ; მედია ასევე უზრუნველყოფს დებატებს პოლიტიკურ და საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებზე, რაც, ერთი მხრივ, სწორი არჩევანის გაკეთებაში ეხმარება ამომრჩეველს, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უწყობს პოლიტიკურ მრავალფეროვნებას ქვეყანაში.

არჩევნების გაშუქებისას განსაკუთრებულ მისიასთან ერთად მედიას დამატებითი ვალდებულებებიც უჩნდება, მან მაქსიმალურად თანაბრად და ობიექტურად უნდა დაანახოს საზოგადოებას პოლიტიკური პროცესი, არჩევნების მიმდინარეობა, კანდიდატებისა და მონაწილე პოლიტიკური პარტიების მიზნები.